მატჩი მოსკოვში

მოსკოვი. ცენტრალური სტადიონი. 7 მაისი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:1).

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, ლოგოფეტი, დიკარევი, კრუტიკოვი, ნეტო, ფალინი, კორნეევი, რაჟკოვი, სევიდოვი (რეინგოლდი), ამბარცუმიანი, ხუსაინოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, გ. სიჭინავა, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

მიმდინარე საფეხბურთო სეზონში მაყურებელთა ასეთი ინტერესი არცერთ მატჩს არ გამოუწვევია. სტადიონის ტრიბუნები სავსე იყო ორივე გუნდის გულშემატკივრებით. ისინი მათგან საინტერესო, კომბინაციებით აღსავსე, დაძაბულ თამაშს მოელოდნენ და არც შემცდარან. შეხვედრის პირველსავე წუთებიდან მოედანზე გაიმართა შეუპოვარი ბრძოლა, რასაც ხელი შეუწყო შესანიშნავმა ამინდმაც.

როსტოვში დამარცხების შემდეგ თბილისელებმა შეძლეს ძალთა მობილიზება და სპარტაკელთა კარი არაერთხელ ჩააყენეს საფრთხეში. დინამოელთა გამუდმებული იერიშების მოსაგერიებლად მასპინძლები მიმართავდნენ ყოველგვარ ხერხს - ხელით თამაშსაც კი. მე-12 წუთზე საკუთარ საჯარიმო მოედანზე ხელით დაიჭირეს ბურთი და იამანიძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო.

“სპარტაკი” დამარცხების საშიშროების წინაშე დადგა და შეეცადა მატჩის მსვლელობაში გარდატეხა შეეტანა, უფრო ხშირად იწყეს გამოჩენა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. მე-17 წუთზე ფალინმა შეძლო ჩოხელის მოტყუება, ბურთი თბილისელთა კარისკენ გაგზავნა, შემდეგ გათამაშდა კომბინაცია, რომელიც იმავე ფალინმა დააგვირგვინა ახლო მანძილიდან დარტყმით - 1:1.

მეორე ნახევრის დაახლოებით 26-ე წუთზე სევიდოვს ცვლის რეინგოლდი. ექსპერიმენტმა გაამართლა. ერთი წუთის შემდეგ სპარტაკელებმა შეძლეს ამ მატჩში გადამწყვეტი გოლის გატანა თბილისელთა კარში. მატჩი მოიგო მოსკოვის “სპარტაკმა” - 1:2.

“ლელო”, 8 მაისი, 1963 წ.